



კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“- GPB-ს გადანყვეტილება ეგზიტპოლზე მიუღებელია

კოალიცია [DIPLOMAT](#) ადვოკატირებისთვის ეხმიანება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ კერძო ტელეკომპანიებთან და GDS ერთად საარჩევნო ეგზიტპოლის ჩატარების გადანყვეტილებას, [რომელიც სამეურვეო საბჭომ მიიღო.](#)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქართვის მიერ ჩატარებული მედიამონიტორინგი ადასტურებს, რომ ქართული ტელეარხები კვლავაც პოლარიზებულია და მათი სარედაქციო პოლიტიკა სხვადასხვა პოლიტიკურ სიმპათიას ასახავს. მეორეს მხრივ, ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენისაგან თავისუფალი უნდა იყოს. ეს თავისუფლება უნდა დასტურდებოდეს ნებისმიერი გადანყვეტილებით, რომელიც საჯარო ფინანსების ხარჯვას ეხება.

ჩვენ ქვეყანაში ეგზიტპოლი არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური მანიპულაციის იარაღი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



კოალიცია **ქართული ადვოკატირებისათვის** მიიჩნევს, რომ კერძო ტელეკომპანიებთან ერთად საარჩევნო ეგზიტპოლის ჩატარება უარყოფითად აისახება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ მაყურებლის ნდობაზე და გააღრმავებს კითხვებს მაუწყებლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის შესახებ.

კოალიცია თვლის, რომ საჯარო ფინანსები არ უნდა იხარჯებოდეს არხისთვის ზიანის მომტან ქმედებებზე. კოალიცია **ქართული ადვოკატირებისათვის** მოუწოდებს საზოგადოებრივ მაუწყებელს შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება და მაუწყებლის ყველა რესურსი მიმართოს მიმდინარე პროცესების სრულყოფილად, დროულად და მიუკერძოებლად გასაშუქებლად.